

ინფორმაცია
უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI)
მე-8 კონგრესის შესახებ

2011 წლის 30 მაისიდან 4 ივნისამდე პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართა აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ევროპის რეგიონული გაერთიანების - მე-8 კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა 47 წევრი - ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოსა და სხვადასხვა 21 საერთაშორისო ორგანიზაციისა და ქვეყნის წარმომადგენელი.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი. დელეგაციაში შედიოდნენ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნატო ზაალიშვილი, სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ალასანია და კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანაშემწე ლუიზა მაკაროვა.

კონგრესი, რომელიც იმართება სამ წელიწადში ერთხელ, მიზნად ისახავდა:

1. სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შეჯამებას და ორგანიზაციული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას.

2. აუდიტის უმაღლესი ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) 2011-2017 წლების სტრატეგიის დამტკიცებას;

3. რამდენიმე კონცეპტუალურ თემაზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

კონგრესის პირველი პლენარული სესია 30 მაისს გაიხსნა. საქართველოს კონტროლის პალატა EUROSAI-ს ფარგლებში წარმოდგენილია ერთ სამუშაო ჯგუფში - გარემოს აუდიტის ჯგუფში. კონგრესში მონაწილეობისას, რეგიონში საქმიანობის გასააქტიურებლად და კავშირების დასამყარებლად, დაიგეგმა საქართველოს კონტროლის პალატის გაწევრიანება რამდენიმე დამატებით კომიტეტსა და სამუშაო ჯგუფში.

1. გაწეული საქმიანობის შეჯამება

პირველ პლენარულ სესიაზე განხილულ იქნა გასული 3 წლის განმავლობაში (2008-2011 წწ.) ორგანიზაციის ფარგლებში გაწეული საქმიანობა. ორგანიზაციის მოქმედმა პრეზიდენტმა (პოლონეთი) წარმოადგინა ანგარიში. განხილულ იქნა საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიში და დამტკიცდა აუდიტორთა დასკვნა.

სესიაზე განხილულ იქნა ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფების ანგარიშები:

1.1. ტრენინგკომიტეტის ანგარიში

ანგარიში შეეხებოდა 2008-2011 წლებში ტრენინგკომიტეტის მიერ შემუშავებული ტრენინგის სტრატეგიის შესრულების მდგომარეობას, კომიტეტის ეგიდით ჩატარებულ ტრენინგებს და შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტაციას. კომიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია:

- *ტრენინგების საორგანიზაციო სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება ტრენინგების ორგანიზატორს, სწორად დაგეგმოს და ეფექტიანად წარმართოს ტრენინგები.*
- *ტრენინგების ხარისხის შეფასების კითხვარი, რომელიც საშუალებას აძლევს ტრენინგის ორგანიზატორებს, გააუმჯობესონ ტრენინგების ხარისხი.*

აღნიშნულის გარდა, კომიტეტმა გასწია საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო და სამი წლის განმავლობაში 43 ტრენინგი ჩაატარა. საქართველოს კონტროლის პალატა გეგმავს, გაწევრიანდეს აღნიშნულ კომიტეტში, მონაწილეობა მიიღოს როგორც თავად ტრენინგებში, ასევე მათ ორგანიზებაში.

1.2. IT სამუშაო ჯგუფის ანგარიში

სამუშაო ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვადასხვა წევრი - ქვეყნისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებაში. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა ორი ძირითადი მიმართულებით შექმნა სათანადო სახელმძღვანელო და ჩაატარა შესაბამისი კვლევითი სამუშაოები:

- *უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საინფორმაციო ტექნოლოგიების თვითშეფასების სახელმძღვანელო (IT Self-Assesment - ე.წ. ITSA);*
- *უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის თვითშეფასების სახელმძღვანელო (IT Audit Self-assesment - ე.წ. ITASA);*
- *სახელმძღვანელო - „როგორ ჩავრთოთ IT აუდიტი აუდიტის პროცესში“;*
- *IT აპლიკაციების აუდიტის სახელმძღვანელო.*

რამდენადაც საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს კონტროლის პალატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა, ამიტომ კონტროლის პალატა უნდა გაწევრიანდეს აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში და დაიწყოს თვითშეფასების მექანიზმების გამოყენება. ეს უკანასკნელი სწორი მიმართულებით განვითარებისა და საერთაშორისო სანიმუშო პრაქტიკის დანერგვის ერთგვარი გარანტია იქნება.

1.3. გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის ანგარიში

გარემოს აუდიტის ჯგუფის ფარგლებში, რომლის წევრიცაა საქართველოს კონტროლის პალატა, აღსანიშნავია შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიერ შავი ზღვის დაბინძურების ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში დამტკიცდა კონგრესზე.

1.4. კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების მართვის აუდიტის სამუშაო ჯგუფის ანგარიში

1.5. აუდიტის ხარისხის სანიმუშო პრაქტიკის სამუშაო ჯგუფის ანგარიში (მათ შორის, ელექტრონული ბაზების მართვის სანიმუშო პრაქტიკა)

სამუშაო ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლებიც უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს დაეხმარება საქმიანობის ხარისხის მრავალმხრივ გაუმჯობესებაში:

- *აუდიტის ხარისხის ამაღლება - უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებში ხარისხის მართვის სანიმუშო პრაქტიკა.*
- *აუდიტორულ საქმიანობაში სანიმუშო თანამშრომლობის პრაქტიკული სახელმძღვანელო (ევროკავშირის წევრი და კანდიდატი-ქვეყნების მაგალითების მიხედვით).*

საქართველოს კონტროლის პალატაში მიმდინარე ხარისხის კონტროლის დანერგვის საწყისი ეტაპის გათვალისწინებით, აღნიშნულ სამუშაო ჯგუფთან ინტენსიური თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალურია. კონტროლის პალატის წარმომადგენელთა ჩართვა სამუშაო პროცესებში ხელს შეუწყობს აუდიტის ხარისხის მართვის სისტემებისა და მექანიზმების გაცნობას, შესწავლასა და დანერგვას.

1.6. პლენარულ სესიაზე დამტკიცდა EUROSAI-ს 2012-2014 წლების ბიუჯეტი და ორგანიზაციის თავმჯდომარეობის უფლებამოსილება პოლონეთის შემდეგ, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, გადაეცა პორტუგალიას.

1.7. სესიაზე წარმოდგენილ იქნა კოორდინირებული აუდიტის შედეგები EUROSAI-ს ფარგლებში:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ზრდის ეფექტიანობის კოორდინირებული აუდიტი;
- ეფექტიანობის კოორდინირებული აუდიტი შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ.

1.8. სესიებზე განსახილველ საკითხთა შორის აღსანიშნავია EUROSAI-სა და INTOSAI-ს სხვადასხვა რეგიონებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პროექტების განხილვა და ანგარიშგება:

- EUROSAI-ს თანამშრომლობა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების რეგიონულ ორგანიზაციასა (OLACEFS) და არაბული უმაღლესი აუდიტორული ორგანოების რეგიონულ ორგანიზაციასთან

(ARABOSAI). კონგრესზე გამართული შეხვედრების შედეგად, 2012 წლისათვის EUROSAI-სა და OLACEFS-ის ერთობლივი ღონისძიების ჩატარება დაიგეგმა საქართველოში და მას კონტროლის პალატა უმასპინძლებს;

- EUROSAI-ს თანამშრომლობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აზიურ ორგანიზაციასთან (ASOSAI);

- EUROSAI-ს თანამშრომლობა IDI-სთან;

-EUROSAI-ს სახელშეკრულებო თანამშრომლობა შიდა აუდიტის ინსტიტუტების ევროპულ კონფედერაციასთან.

2. EUROSAI-ს 2011-2017 წლების სტრატეგიის დამტკიცება

EUROSAI-ს მე-8 კონგრესის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასევე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პირველად დამტკიცდა მრავალწლიანი ერთიანი EUROSAI-ს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში დამტკიცებულ INTOSAI-ს 2011-2016 წლების სტრატეგიულ მიზნებს.

სტრატეგია შედგება 4 ძირითადი მიმართულებისაგან:

2.1. შესაძლებლობების განვითარება. ამ მიზნის ფარგლებში EUROSAI ამოცანად ისახავს მისი წევრი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების შესაძლებლობების ზრდას, საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და აუდიტორული უნარების შემდგომ სრულყოფას.

2.2. პროფესიული სტანდარტები. ამ მიზნის ფარგლებში EUROSAI ამოცანად ისახავს INTOSAI-ს მიერ დამტკიცებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას რეგიონში.

2.3. ცოდნის გაზიარება. ამ მიზნის ფარგლებში EUROSAI ამოცანად ისახავს რეგიონში პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და სანიმუშო პრაქტიკის გაზიარებას.

2.4. მართვა და კომუნიკაცია. ამ მიზნის ფარგლებში EUROSAI მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს მისი ორგანიზაცია და მმართველობა, უზრუნველყოს წევრი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მეტი ჩართულობა და კავშირების გაძლიერება.

3. კონცეპტუალური თემების განხილვა

EUROSAI-ს კონგრესზე განხილულ იქნა ორი ძირითადი კონცეპტუალური თემა, რომელიც აქტუალური პრობლემაა რეგიონისათვის. თითოეული თემის წარმოსადგენად შექმნილი იყო რამდენიმე წევრისაგან შემდგარი ჯგუფები, რომელთაც მოამზადეს და წარმოადგინეს თემები. EUROSAI-ს წევრებმა კონცეპტუალური თემების განხილვას ხელი შეუწყვეს თავიანთი ქვეყნის გამოცდილების ამსახველი სათანადო მოკლე საინფორმაციო ანგარიშების წარდგენით.

პირველი თემა იყო: „საჯარო მოხელეთა გამოწვევები, მოთხოვნები და პასუხისმგებლობა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების როლი“. აღნიშნული თემა დაიყო ორ ნაწილად:

1.ა. საჯარო მოხელეთა თანამედროვე გამოწვევები.

1.ბ. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების როლი საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებაში.

მე-2 ძირითადი თემა: „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების აუდიტი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ“.

3.1. „1.ა.“ თემა წარმოადგინა შვიდმა წევრმა-ქვეყანამ, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო „ესტონეთის მომავლის განვითარების ფონდის“ დირექტორის პრეზენტაცია, რომელმაც ხაზი გაუსვა თანამედროვე სწრაფად და კომპლექსურად ცვალებადი საზოგადოების მოთხოვნებს.

3.2. „1.ბ.“ თემაც წარმოადგინა ასევე შვიდმა წევრმა-ქვეყანამ, რომელთაგან აღსანიშნავია დანიის საანგარიშო სასამართლოს წარმომადგენელთა პრეზენტაცია იმ მრავალმხრივი მიდგომების შესახებ, თუ რა როლს ასრულებს უმაღლესი აუდიტორული ორგანო საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულების განმტკიცებაში.

3.3. მე-2 თემის ირგვლივ მსჯელობა წარმართა ხუთმა წევრმა-ქვეყანამ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს თავმჯდომარის პრეზენტაცია, რომელმაც წარმოადგინა საკუთარი გამოცდილება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების აუდიტის საკითხში.

გერმანიის უმაღლესი აუდიტორული ორგანო ატარებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დადგენილ რეგულირებებს და რამდენად ეფექტიანად ხორციელდება მათი მართვა (საქმიანობის ადმინისტრირება). მათთვის ხელმისაწვდომია ყველა სათანადო დოკუმენტი, რაც საჭიროა სრულფასოვანი აუდიტის ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ფარგლები ჯერჯერობით არ მოიცავს მარეგულირებლების მიერ რეგულირებულ ბაზარზე გავლენის შეფასებას, ე.წ. საბოლოო შედეგის გაზომვას, რასაც გარკვეულწილად ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყება, გერმანიის მონოპოლიური კომისია.

3.4. კონცეპტუალური თემების განხილვისა და დისკუსიის შემდეგ კონგრესმა მიიღო „დასკვნები და რეკომენდაციები“.

თემა I

- საჯარო სამსახურსა და ანგარიშვალდებულებაზე განსაკუთრებით ზეგავლენას ახდენს შექმნილი ახალი რეალობა. დემოგრაფიული და ტექნოლოგიური მოვლენები, არსებული ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა, და ინფორმაციული საზოგადოება წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლის წინაშეც დგას ყველა ხელისუფლება და რაც მათ

ქმედებაზე ახდენს გავლენას. სწორედ აღნიშნულ რთულ გარემოში უწევთ ხელისუფალთ მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. არ არსებობს გამოწვევების დასაძლევად ერთგვაროვანი გზა.

- სახელმწიფოს რაციონალური სამართლებრივი ჩარჩოს გარდა, აუცილებელია მმართველობის უფრო ქმედითი, მოქნილი, ადაპტირებული და ღია ფორმები, სადაც მკაცრად დაცული ეთიკური ღირებულებები.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონგრესის დასკვნით, განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს ხელისუფლების ინფორმაციის გამჭვირვალობის უმაღლესი ხარისხი და ეფექტიანი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებით საჯარო სამსახური სწრაფად დაძლევს გამოწვევებს.
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ღირებულებებია, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ საჯარო მოხელეებმა პროფესიული და მმართველობითი უნარებით, ფინანსურ და სხვა რეგულირებებთან შესაბამისობით, ეთიკური და სანიმუშო ქცევის მოლოდინის გამართლებით.
- სახელმწიფო ხელისუფლებაში შეინიშნება ორი კონცეფციის დაპირისპირება: ერთი მხრივ, კანონმდებლობის დემოკრატიული პროცესი, და, მეორე მხრივ, მოქნილობა თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად. EUROSAI-ს წევრი-ქვეყნები აღიარებენ, რომ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, მოქნილი და ღია სისტემა და, მეორე მხრივ, ანგარიშვალდებულება.
- საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და ანგარიშგება საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წესზე დამყარებული მიდგომა გაუმჯობესებულია პრინციპებზე დამყარებული მიდგომებით.
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ანგარიშვალდებულების კულტურის დანერგვაში, რადგან წარმართავენ აუდიტს, გასცემენ მოხსენებებსა და რეკომენდაციებს, ხაზგასმულად წარმოაჩენენ სანიმუშო პრაქტიკას და, მათ შორის, მართლმსაჯულებისა და იძულების სხვადასხვა ფორმით.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, კონგრესმა თავისი წევრებისათვის გამოსცა შემდეგი რეკომენდაციები:

- უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა საზოგადოებაში უნდა დანერგონ ინოვაციები და ხელი შეუწყონ ცვლილებებს;
- მათ საქმიანობაში აქტიურად ჩართონ სამოქალაქო საზოგადოება;
- ხელი შეუწყონ კანონების, ჯანსაღი მართვისა და ეთიკური პრინციპების პატივისცემას;
- მრავალფეროვანი საშუალებებით ხელი შეუწყონ ანგარიშვალდებულებას როგორც გარე, ასევე მათი შიდა ორგანიზაციული თვალსაზრისით;

- გააფართოვონ თავიანთი მანდატი, რათა მოიცვან კანონიერების, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტი;
- განსაკუთრებით იაქტიურონ კანონმდებლებთან და საჯარო სექტორთან ანგარიშვალდებულების დასანერგად;
- აღნიშნული თემის სრულყოფის მიზნით EUROSAI შექმნის ინსტრუმენტებს (სამუშაო ჯგუფს), რათა სათანადოდ გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს და გაუზიარონ გამოცდილება უფრო ფართო საზოგადოებას (INTOSAI).

თემა II

- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები განსაკუთრებით მომრავლდნენ და მომძლავრდნენ ევროპულ ქვეყნებში, რაც რამდენიმე ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული:
 - ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, როდესაც საჭირო გახდა კერძო სექტორზე ზედამხედველობა;
 - ბაზრების ეფექტიანობის ზრდის აუცილებლობა - კონკურენცია, დერეგულაცია, ლიბერალიზაცია, მომხმარებელთა დაცვა;
 - ზოგადი ეკონომიკისა და ინდივიდუალური მომხმარებლების მიმართ ფინანსური მომსახურების მიერ გამოწვეული საფრთხეების კონტროლი.
- შედეგად, რეგულირების ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს, რაც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. EUROSAI-ს ფარგლებში არის სამი ძირითადი ფორმა:
 - ინფრასტრუქტურის რეგულირება;
 - კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის რეგულირება;
 - ფინანსური მომსახურების რეგულირება.
- იმის მიუხედავად, რომ მარეგულირებლები დიდი პირდაპირი დანახარჯებით არ გამოირჩევიან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკაში. ისინი ეროვნული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მნიშვნელოვან ნაწილს ფარავენ და იღებენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ბაზრების სტრუქტურაზე, ფასებზე, ინდივიდუალურ სუბიექტებზე, კომპანიებზე, მომხმარებლებზე.
- ფინანსურმა კრიზისმა მათი როლი კიდევ უფრო გაზარდა. ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა ახალი, ხოლო ზოგან - არსებული გაძლიერდა, მათ შორის, ცენტრალური (ეროვნული) ბანკები. აღნიშნულმა პრობლემამ შექმნა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოებისათვის, რადგან ყველა მათგანს არ აქვს უფლება, ჩაატაროს ეროვნული ბანკის აუდიტი.
- რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ მარეგულირებელი ორგანოები, მათი საერთო თვისებაა მინისტერიალური გადაწყვეტილებებისაგან დამოუკიდებლობა.

- მარეგულირებლებსა და უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს ბევრი საერთო აქვთ. ორივე მათგანი მოქალაქის ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, ორივე მათგანი დამოუკიდებელია და მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოებაში. ამდენად, მათ შორის პროფესიული ინტეგრაცია - გონივრული თანამშრომლობა აუცილებელია.
- თუმცა, მარეგულირებლების ანგარიშვალდებულება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების გამოწვევაა. მათი დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ ისინი პარლამენტს წარუდგენენ ანგარიშს, თუ როგორ გამოიყენეს მინიჭებული უფლებამოსილება. უმაღლესი აუდიტორული ორგანოები ატარებენ მათ ფინანსურ აუდიტს, მაგრამ აღნიშნულს არ სცდება. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ტარდება მათი ფინანსური აუდიტი, ფინანსური სამსახურების სექტორში ფინანსური აუდიტიც კი შეზღუდულია.
- ფინანსური აუდიტის გარდა, მარეგულირებლების გადაწყვეტილებები ასევე განიხილება სასამართლოში (გასაჩივრების შემთხვევაში) ან სხვა ალტერნატიული ადმინისტრაციული პროცედურებით. ზოგიერთი უმაღლესი აუდიტორული ორგანო ასევე ატარებს მარეგულირებლების ეფექტიანობის აუდიტს, რაც დამახასიათებელია ინფრასტრუქტურისა და ფინანსური მომსახურების რეგულირების სფეროში.
- აუდიტის ფარგლების განსხვავების მიუხედავად, საბოლოოდ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიზანია, პარლამენტსა და ფართო საზოგადოებას მიაწოდონ ობიექტური დასკვნა, თუ როგორ გამოიყენეს მათი დისკრეტია მარეგულირებელმა ორგანოებმა:
 - მათი საქმიანობის მართვა;
 - აღსრულების სტრატეგია;
 - კანონთან შესაბამისობა.
- ზოგიერთი უმაღლესი აუდიტორული ორგანო ასევე აფასებს მათ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, როგორცაა, მაგალითად, ინფრასტრუქტურული კომპანიების მიერ გადასახდელი ფასების განსაზღვრა;
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოებისათვის გადამწყვეტია განსხვავება პროფესიულ მენეჯმენტსა და პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას შორის. თუ ეს მიჯნა არაა დაცული სათანადოდ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების დასკვნები, რეკომენდაციები და ანგარიშები შეიძლება შეფასდეს პოლიტიკაში არასათანადო ჩარევად. თუმცა, INTOSAI მე-20 კონგრესზე მიღებული დეკლარაციით, მარეგულირებელი ორგანოების ეფექტიანობის აუდიტით შესაძლოა აღმოჩენილიყო გლობალური ფინანსური კრიზისის რისკები და შესაძლებელი იქნებოდა მთავრობებისთვის შესაბამისი პრევენციული რეკომენდაციების მიწოდება.
- ეკონომიკური გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების გამოცდილებაზე. ამდენად ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია. კონგრესზე დადგინდა სისუსტე, რომ ეროვნული ხელისუფლებების მიერ

დაფინანსებული ეროვნული ან სუპრანაციონალური ფინანსური ინსტიტუტები დატოვებულია საჯარო სექტორის აუდიტის მიღმა.

- აღნიშნული ინსტიტუტები სრულიად გამჭირვალე ორგანიზაციებია და ისინი საჯარო აუდიტს უნდა დაექვემდებაროს. უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, პარლამენტებს წარუდგინონ დასკვნა მათი ეფექტიანობის შესახებ.
- ამ მხრივ, უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მათი პროფესიული გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების ხარისხის გარანტიები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონგრესმა აღნიშნულ საკითხზე გამოსცა შემდეგი რეკომენდაციები:

- მარეგულირებლებისათვის ფართო დამოუკიდებელი დისკრეციის მინიჭება გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად უნდა შემოწმდეს მისი შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა.
- ამდენად, კონგრესმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, ჩაატარონ მარეგულირებელი ორგანოების აუდიტი.
- აღნიშნული გადაწყვეტილების იმპლემენტაციას აუცილებლად ესაჭიროება მარეგულირებელთა დამოუკიდებლობის ინსტიტუციური ჩარჩოს და სხვა თავისებურებათა გათვალისწინება.
- როდესაც საუბარია გადაწყვეტილებათა მიღების დამოუკიდებლობაზე, რომელიც მიენიჭა მარეგულირებლებს, უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა უპირველეს ყოვლისა უნდა უპასუხოთ კითხვას, ხომ არ შეიღაბა აღნიშნული დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, რეგულირებულია ბაზრის მიერ ან სამთავრობო ინტერვენციით.
- უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა უნდა წახალისონ მარეგულირებელი ორგანოები, პერიოდულად თავად შეაფასონ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობა. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების დასკვნას დადებითი შედეგები ექნება თავად რეგულირებულ ბაზარზე.

3.5. კონგრესზე მიღებულ იქნა EUROSAI-ს განცხადება „უმაღლესი აუდიტორული ორგანოების დამოუკიდებლობის გაძლიერების შესახებ“. აღნიშნული განცხადების მხარდაჭერით, წევრმა უმაღლესმა აუდიტორულმა ორგანოებმა ეს განცხადება უნდა გადაუგზავნონ ეროვნულ პარლამენტებსა ან/და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, რომ:

- გაზარდონ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერება და მათი როლი ამ ორგანოების დამოუკიდებლობის გაძლიერებაში;
- მხარი დაუჭირონ გაეროში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით ECOSOC-ის 2011 წლის 26 აპრილის რეზოლუციას, რომელიც ეხება გაეროს

გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიღებას, რომელიც აღიარებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების დამოუკიდებლობას ლიმისა და მეხიკოს დეკლარაციების შესაბამისად.

რამდენადაც საქართველოს კონტროლის პალატამ მხარი დაუჭირა აღნიშნული განცხადების მიღებას, მან უნდა შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაცია და მიმართოს შესაბამის უწყებებს სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს EUROSAI-ს გენერალურ სამდივნოს. აღნიშნული ქმედებით საქართველოს კონტროლის პალატა ხელს შეუწყობს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ინსტიტუციური ავტორიტეტის განმტკიცებას.

4. შეხვედრები

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციამ კონგრესის მიმდინარეობისას გამართა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების წარმომადგენლობასთან.

4.1. შეხვედრა გაიმართა ესპანეთის უმაღლესი აუდიტორული სასამართლოს თავმჯდომარესთან. შეხვედრის შედეგად დაიგეგმა მისი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 2011 წლის შემოდგომაზე.

4.2. ქართული დელეგაცია შეხვდა პოლონეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს თავმჯდომარესა და დელეგაციის სხვა წევრებს. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და დელეგაციის ვიზიტი პოლონეთში, მათი გამოცდილების გასაზიარებლად.

აღნიშნული შეხვედრა ასევე მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც პოლონეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს თავმჯდომარის, როგორც EUROSAI-ს თავმჯდომარის ხელშეწყობით, 2012 წელს საქართველოში დაიგეგმა EUROSAI-სა და OLACEFS-ის ერთობლივი ღონისძიების ჩატარება.

4.3. შეხვედრა გაიმართა შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალური აუდიტორი. შეხვედრაზე განხილულ იქნა შვედეთისა და საქართველოს კონტროლის პალატის მიმდინარე თანამშრომლობის საკითხები.

4.4. მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა ლიტვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელთან და დელეგაციის სხვა წევრებთან. დაიგეგმა საქართველოს კონტროლის პალატასა და ლიტვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კონკრეტული თემების ირგვლივ. 2011 წლის ზაფხულში დასრულდება მოსამზადებელი სამუშაოები და გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, როდესაც ლიტვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ეწვევა საქართველოს.

4.5. საქმიანი შეხვედრა გაიმართა თურქეთის საანგარიშო სასამართლოს თავმჯდომარესთან, დაიგეგმა მისი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 2011

წელს, რათა უფრო გაღრმავდეს მეზობელი ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს შორის თანამშრომლობა.

EUROSAI-ს მომდევნო მე-9 კონგრესი გაიმართება 2014 წელს, ჰააგაში, ნიდერლანდების აუდიტორული სასამართლოს მასპინძლობით.